პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 12 (281) 30 აპრილი 1965 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

განყოფილება პირველი

206. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. გ. ლაპინის დანიშვნის შესახებ.
207. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.
208. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
209. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოლდავეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

210. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. პეგოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
211. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ნ. დიანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
212. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. ამანოვისათვის, ა. ანაკულიევასათვის და ვ. მუხატოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
213. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის ზემდეგის ვ. გ. რიჩკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
214. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ტ. მერიტამის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
215. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ველფრიდოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
216. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტალინის მანქანათმშენებელი ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბიბლიოთეკა

217. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლ. ო. უტიოსოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა გაერთიანებული რესპუბლიკა ტანზანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დანიელ მფინანგამ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურეული პროდუქტების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად ამხ. მ. ბ. ნარსიას დანიშვნის შესახებ.

## განყოფილება მეორე

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. მხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ა. ქვალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. მერცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ე. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიიდუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. დ. დონდუასათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ი. კიკვიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 206 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. გ. ლაპინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი გიორგის ძე ლაპინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 აპრილი.
№ 3462-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 207 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც აგრეთვე მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა, ხელმოწერილი ვარშავაში 1965 წლის 8 აპრილს, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 აპრილი.
№ 3477-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 208 საქართველოს სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 ივლისიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 აპრილი.

№ 3489-VI.

დანართი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 16 აპრილის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.
№ 3489-VI.

### ნ უ ს ხ ა

### სსრ კავშირის იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეების შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 209 მოლდავეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 ივლისიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 16 აპრილი.

№ 3490-VI.

დანართი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 16 აპრილის ბრძანებულებისა „მოლდავეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.
№ 3490-VI.

## ნ უ ს ხ ა

### სსრ კავშირის იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინჟინრო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. ის ნაწილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულებისა „მოლდავეთის სსრ ტერიტორიაზე უკრაინის სსრ კოდექსების დროებით გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წ., № 51), რომელიც ეხება უკრაინის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების გამოყენებას.

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეების შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

8. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

9. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 210 ამხ. ნ. მ. პეგოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე **პეგოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 15 აპრილი.
№ 3476-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 211 ამხ. ა. ნ. დიანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **დიანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 19 აპრილი.
№ 3493-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 212 ბ. ამანოვისათვის, ა. ანაკულიევასათვის და ვ. მუხატოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

ბაზარ **ამანოვს** — თურქმენეთის მოლანეპესის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრის მსახიობს;

ანაგულ **ანაკულიევას** — თურქმენეთის მახტუმკულის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.

ველიმუჰამედ **მუხატოვს** — კომპოზიტორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 19 აპრილი.
№ 3494-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 213 მილიციის ზემდეგის ვ. გ. რიჩკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავგანწირული მოქმედებისათვის და მამაცობის გამოჩენისათვის მილიციის ზემდეგი ვასილ გრიგოლის ძე **რიჩკოვი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 19 აპრილი.

№ 3495-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 214 ამხ. ტ. ტ. მერიტამის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი გამბედაობისათვის ექიმი ტოომას ტოომასის ძე **მერიტამი** დაჯილდოვდეს მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 19 აპრილი.

№ 3496-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 215 ამხ. ვ. გ. გელფრეიხისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ვლადიმერ გიორგის ძე **გელფრეიხს**, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველოს № 4

სახელოსნოს ხელმძღვანელს, არქიტექტორს, პროფესორს, მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და **ოქროს მედალი „ნამგალი და ური“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 21 აპრილი.
№ 3497-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 216 ტალინის მანქანათსაშენებელი ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის დიდმწარმოებლური მოწყობილობით აღჭურვაში დიდი მიღწევებისათვის და დაარსების 100 წელთან დაკავშირებით **ტალინის მანქანათსაშენებელი ქარხანა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 22 აპრილი.
№ 3498-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 217 ლ. ო. უტიოსოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის ლეონიდ ოსიპის ძე **უტიოსოვს,** რსფსრ სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის მხატვრულ ხელმძღვანელს და დირიჟორს, მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 აპრილი.

№ 3499-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა გაერთიანებული რესპუბლიკა ტანზანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დანიელ მფინანგამ

გაერთიანებული რესპუბლიკა ტანზანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საბჭოთა კავშირში დანიელ მფინანგამ 12 აპრილს კრემლში გადასცა თავისი რწმუნების სიგელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი გ. კ. ნ. მგონე და მეორე მდივანი უ. მბაგო.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და დ. მფინანგას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პავლოდარის ალუმინის ქარხნის პირველი რიგის და მისი ნედლეულისა და ენერგეტიკული ბაზის მშენებლობასა და ათვისებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 17 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 100 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ყაზახეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „პავლოდარპრომსტროის“ მთავარი ინჟინერი ა. ვ. ლომოვი, ყაზახეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „კაზსტალკონსტრუქციის“ პავლოდარის სამმართველოს ელექტროშემდუღებელი ი. მახმეტოვი და ყაზახეთის სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „პავლოდარპრომსტროის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს მღებავ მებათქაშეთა ბრიგადირი მ. ი. პოზდნიაკოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 12 კაცი, „საპატიო ნიშნის ორდენით — 20, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 30 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 35 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**218 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურეული პროდუქტების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურეული პროდუქტების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**219 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად ამხ. მ. ბ. ნარსიას დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ბახვას ძე **ნარსია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 24 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 220 ამხ. გ. ნ. მხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. გიორგი ნოეს ძე **მხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 26 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 221 პროფესორ ა. ა. კვალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ალექსანდრე არჩილის ძე **კვალიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 26 აპრილი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 222 ამხ. ა. ა. მერცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს ალექსი აქვსენტის ძე **მერცხულავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 26 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 223 ამხ. ე. ე. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ეზეკი ეზეკის ძე **ხარაბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 26 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 224 პროფესორ ვ. დ. დონდუასათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორ ვარლამ დარისპანის ძე **დონდუას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 225 პროფესორ ა. ი. კიკვიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფესორ აბელ იასონის ძე **კიკვიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 27 აპრილი.